პატრის ლუმუმბამ, იუწყება კაიროს რადიოს კორესპონდენტი, იმედი გამოთქვა, რომ გენერალური ასამბლეის სესია მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანი იქნება კონგოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვა. პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვა აგრეთვე, რომ ამ გადაწყვეტილებებში ნათქვამი იქნება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა ითანამშრომლოს მხოლოდ კონგოს კანონიერ მთავრობასთან, ე. ი. იმ მთავრობასთან, რომელსაც პარლამენტმა მისცა რწმუნებანი და რომელსაც პარლამენტმა არა ერთგზის გამოუცხადა ნდობა როგორც ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებას.

ნიგერიაში დამოუკიდებლობის აღამი აღიმაართა

ლაგოსი, 1 ოქტომბერი. (საკუთარი). გუშინ კვიან საღამოს ქალაქის იბოდრომზე დიდძალი ხალხის თანდასწრებით გაიმართა ნიგერიის ფედერაციის დამოუკიდებლობის გამოცხადების საზეიმო ცერემონია.

საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ უცხოეთის დელეგაციები 60 სახელმწიფოდან, მათ შორის საბჭოთა კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის შ. მ. არუშანიანის მეთაურობით.

ჯოუ ენ-ლაის გამოსვლა

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკუთარი). გამოვიდა რა გუშინ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-11 წლისთავის გამო გამართულ დარბაზობაზე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ ხაზი გაუსვა, რომ განვლილ წელს ჩინელმა ხალხმა ახალი უდიდესი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

ჩინეთის ხალხი და მთავრობა, თქვა შემდეგ ჯოუ ენ-ლაიმ, თანამიმდევრულად იცავენ მშვიდობიან საგარეო პოლიტიკას, იბრძვიან სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, იბრძვიან იმისათვის, რომ ყველა საერთაშორისო დავა მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადაიჭრას. ჩინელი ხალხი და ჩინეთის მთავრობა თანამიმდევრულად და გადუხრელად იცავენ სოციალისტური ბანაკის შეკავშირებას საბჭოთა კავშირის მეთაურობით, მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშვიდობიან წინადადებებს საყოველთაო განიარაღების, ატომური იარაღის აკრძალვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შესახებ.

ჩინელი ხალხი, განაცხადა ჩინეთის მთავრობის მეთაურმა, გადაჭრით უჭერს მხარს მსოფლიოს ყველა რაიონის ხალხთა სამართლიან ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის, საზოგადოების პროგრესისა და საყოველთაო განიარაღებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, უცხოელთა სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისა და უცხოეთის ჯარების გაყვანისათვის.

მდგომარეობა კონგოში

პარიზი, 30 სექტემბერი. (საკუთარი). ლეოპოლდვილიდან გამოგზავნილი საინფორმაციო სააგენტოების უკანასკნელი დეპეშები ცხადყოფენ, რომ კოლონიურ წრეებთან ახლომდგომი გარკვეული ძალები ცდილობენ იზოლაცია მოუწყონ კონგოს რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას პატრის ლუმუმბას მეთაურობით, რომელიც პარლამენტის ნდობით სარგებლობს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გადმოგვცემს, კასავუბუმ, რომელიც აშკარად უგულებელყოფს ლუმუმბას მთავრობას, გუშინ ლეოპოლდვილში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წევრებს წარუდგინა, ეგრეთწოდებული „გენერალური კომისრების საბჭო“. ოფიციალურ ცერემონიაზე, რომელიც კასავუბუს რეზიდენციაში გაიმართა, კასავუბუმ განაცხადა, რომ ეს საბჭო „დროებით კისრულობს აღმინისტრაციულ ხელისუფლებას კონგოში“. კასავუბუმ თქვა აგრეთვე, რომ იწონებს მეამბოხეთა მეთაურის პუტჩისტ მობუტუს გადაწყვეტილებას კონგოდან განისა და გვინეის ჯარების გაყვანის შესახებ.

დეპეშათა სააგენტოების ცნობების მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცისფერ ალაზს, მიუხედავად მისი წარმომადგენლების ცდისა კონგოში თავიანთი თავი დასახონ კონგოს ამბებში „ჩაურეველობის“ მომხრეებად, კვლავ იყენებენ სპარატისტული მოქმედების დასაფარავად, მოქმედებისა, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას. ფრანს პრესის სააგენტოს დეპეშაში, რომელიც ლეოპოლდვილიდან მოვიდა, ნათქვამია: „გაერთიანებული ერების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მოლაპარაკებას დაიწყებს „გენერალური კომისრების საბჭოსთან“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოზიცია მარტივია — იგი მოლაპარაკებას აწარმოებს იმათთან, ვისაც ფაქტიურად უკავია მინისტრთა სავარძლები“.

ამრიგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია აშკარად ემხრობა უკანონოდ შექმნილ საბჭოს, რომელიც არავის და არაფერს არ წარმოადგენს და სახელმწიფო საქმეთა ხელმძღვანელობის პრეტენზია აქვს.

პუტჩისტები — კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მოწინააღმდეგეები, როგორც დეპეშათა სააგენტოების ცნობებიდან ცხადი ხდება, იმედს ამყარებენ ჩომბეს კოალიციაში ხროვაზე, რომელიც კატანგის პროვინციაში გამაგრდა. ამ მარიონეტის ბანაკში კი ყველაფერი რიგზე როდია. ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ბალუბას ტომი, რომელიც ჩომბეს რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყდა, მოქმედებს ელიზაბეტვილიდან — კატანგის ადმინისტრაციული ცენტრიდან 300 კილომეტრზე.

ჩომბემ, რომელსაც, როგორც ჩანს, აწუხებს თავისი დამპალი რეჟიმის ბედი, განაცხადა, რომ მზად არის „მოლაპარაკების“ საწარმოებლად მიიღოს პუტჩისტ მობუტუს სამხედრო დელეგაცია. ფრანს პრესის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, რომ ჩომბე დელეგაციას დაუნენებით მოსთხოვს კონგოს კონფედერალურ მართვას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ისეთი კურსის განხორციელებას, რომლის მიზანია კონგოს ტერიტორიული მთლიანობის ძირის გამოთხრა.

კაირო, 30 სექტემბერი. (საკუთარი). კაიროს რადიოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრმა პატრის ლუმუმბამ კონგოში უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პოლკოვნიკ მობუტუს გამოსვლა მოამზადეს ბელგიელებმა, აგრეთვე „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ზოგიერთმა პასუხისმგებელმა

საერთაშორისო ცხოვრება
ფაქტები, ცნობები, მიმოხილვა

მსოფლიო ლიდერების კრება

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკუთარი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი შმიდი დღეს აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესია წარმოადგენს სრულიად უჩვეულო კრებას, რომდენადაც ბევრ დელეგაციას ასამბლეაში მეთაურობენ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები.

„ესოდენ ბევრი მსოფლიო ლიდერი ამგვიანად შეხვდებოდნენ და ანრებს გაეზიარებდნენ ერთმანეთს ისე ადვილად, როგორც ახლა, — შენიშნავს კორესპონდენტი. — სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობათა ხელმძღვანელების შეხვედრის მომზადებისათვის ჩვეულებრივ საჭიროა თვეები და წლები. აქკი მათ შეეძლოთ ერთმანეთს შეხვდნენ ტელეფონის ზარის დამბარებით და დასჭირდებათ ერთმანეთთან მისასვლელად სულ რამდენიმე უბნის გავლა. და ისინი ამას ენთუზიაზმით სჩადიან“. კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უმაღლესი მსოფლიო სახელმწიფო მოღვაწეთა ახლანდელი შეკრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არის იმ ინიციატივის შედეგი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოიჩინა.

ნიუ-იორკი

30 სექტემბერი

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკუთარი). ამ დღეს ნიუ-იორკ ტაიმსის ფურცლებზე ამ ფაქტს, რომ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ჩამოვიდა ნიუ-იორკში, ეძღვნებოდა ფოტო, ფოტოებზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ბაზარზე, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი ბანკში

რესპუბლიკის კარგ სახელს უნდა გავუფრთხილდეთ!

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

განუწყვეტლივ, დღისით და ღამით მატარებლებსა და თვითმფრინავებს, ავტობუსებსა და მსუბუქ ავტომანქანებს, გემებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიაყავთ ჩვენი რესპუბლიკის ათასობით მცხოვრებნი. შორეულ მოგზაურობაში მიდიან სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. ზოგი მიდგზავრება სამსახურებრივ მივლინებაში, ზოგი ექსკურსიაზე, ზოგი — უბრალოდ ოჯახური საქმეების გამო. რამდენი, ახალგაზრდა სპეციალისტი მიეშურება ყოველ წელს შორეულ პუნქტებში, შვიდწლედის მშენებლობებზე, სადაც უნდა დაიწყოს თავიანთი შრომითი საქმიანობა!

როდესაც სასიხარულო და სასიამოვნოა, როცა კარგი ამბები მოდის ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთა ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ, ჩვენი ქალაშვილებისა და ჯაბუკების კულტურული, სანიმუშო ყოფაქცევის შესახებ. და როდესაც მტკივნეული და საწყენია, როცა ჩვენი თანამემამულე ჩრდილს აყენებს მშობლიურ რესპუბლიკას, მის ნიჭიერ, პატიოსან, შრომისმოყვარე ხალხს. ასეთები, თუმცა ისინი, რა თქმა უნდა, ერთეულები არიან, არ ზრუნავენ იმისათვის, რომ გაუფრთხილდნენ მშობლიური რესპუბლიკის კარგ სახელს. მათ არ ესმით, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ისინი ჩვენი მხარის, ჩვენი ხალხის ნაწილი, ყოველივე იმის ცოცხალი განსახიერება არიან, რაც დაკავშირებულია საქართველოსთან. ჩვენს დიად ქვეყანაში ხომ მილიონობით ადამიანია, რომლებიც არასოდეს არ ყოფილან საქართველოში, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას იცნობენ მხოლოდ გეოგრაფიის სახელმძღვანელოებით, წიგნებითა და გაზეთებით ან კინოფილმებით.

ამას წინათ მოსკოვში იყო ბრიგადა, რომელიც საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გაგზავნა იმის გასაცნობად, თუ როგორ შრომობენ, სწავლობენ, ცხოვრობენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ქალაშვილები და ჯაბუკები, რა საქმიანობას ეწევიან, როცა ჩადიან მოსკოვში მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროით.

ამ დღეებში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მოისმინა მოხსენება ბრიგადის მუშაობის შესახებ. ეს ჩვეულებრივი სხდომა როდი იყო. მასში მონაწილეობა მიიღეს პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, კომკავშირულმა აქტივისტებმა, სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებმა, სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების წარმომადგენლებმა.

ბიუროსზე აღინიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომობს და სწავლობს დედაქალაქის სწარმოებებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ შორის არიან ლ. ნიშნიანიძე — მოსკოვის პირველი ბურთულსაკისართა ქარხნის კომუნისტური შრომის დამკვრელი, რომელიც ამას წინათ დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის", ამავე საწარმოს მოწინავე მუშა ს. ჩიხრაძე, ახალგაზრდა სპეციალისტი ი. გოგლიძე, რომელმაც განვლო გზა მუშიდან ტექნიკოს-კონსტრუქტორამდე, ცნობილი ქართველი ძალოსანი ი. ქართველიშვილი, რომელიც სანანდიდატო დოქტორატურაზე მუშაობს მოსკოვის მეტალურგიის ინსტიტუტში, გ. ბაბუნია — მოსკოვის ქარხანა „ფიზიკოს"-ში ერთ-ერთი საუკეთესო წარმოების მუშაკი, ასპირანტები ე. მდინარაშვილი, გ. ალექსიძე, მ. ჭელიძე და ბევრი სხვა.

მაგრამ, როგორც აღინიშნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე, ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის ნაწილს, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს ან იქ იმყოფება დროებით, ღირსეულად არ უჭირავს თავი, უსაქმოდ დახეტიალობს დედაქალაქის ქუჩებში, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ხულიგნობს, ეწევა სპეკულაციას, ყალთაბანდობს, უცხოელთაგან ყიდულობს ნივთებსა და ვალუტას, შუამავლობს სხვადასხვა უპატრონო საეკრო გარიგებაში, ლოთობს, ჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს.

ბიუროზე დასახელეს ის პირები, რომლებსაც რესპუბლიკიდან გაეკვეთ ხელი და ბოსტნეული და გადიდებულ სპეკულაციურ ფასებში ყიდიან მოსკოვის ბაზრებში. მათ შორის არიან: ა. გვასალია და ო. ჭარდავა (სოხუმის რაიონის სოფელი განახლება), ნ. და ო. ხურციელავები (სოხუმის რაიონის სოფელი ლეჭყოპი), ე. ტორჩინავა (ცხაკაიას რაიონის სოფელი ფოცხი), ბ. ვაჩეიშვილი აბაშის რაიონის სოფელი მარანი), შ. მიხელაშვილი (სამტრედიის რაიონის სოფელი კულაში), დ. სულაბერიძე ვანის რაიონის სოფელი შუამთა), ვ. მელქაძე — სადგურ სამტრედიის მწონავი, შ. აბდალაძე — წყალტუბოს რაიონის მესხეთის შვიდწლიანი სკოლის პედაგოგი, მ. ასლამაზიშვილი (თბილისი) და სხვები.

დასახელეს აგრეთვე ის სპეკულანტები, რომლებიც ავტომობილის სათადარიგო ნაწილებით, ავტოსაბურავებით, ავეჯით ვაჭრობენ. მათ შორის ი. ჯანაშვილი (სოფელი კულაში), ქალაქ თბილისის მცხოვრებნი ნ. ელიზბარაშვილი, ვ. პაპიანი. გ. მნაცაკანოვი, ა. ყაკეიშვილი, ბათუმელი ა. გაბრიელოვი და სხვები.

ცნობილია აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოსკოვში უცხოელთაგან ყიდულობენ ნივთებსა და ვალუტას, ყალთაბანდობენ — გ. ჯიქია, რ. ალოიანი, ი. თათევოსიანი, ჯიბგირები მ. მამულაშვილი და შ. ბოშიაშვილი.

შემჩნეულია აგრეთვე, რომ ეღირსაღ იქცევიან, უცხოელებს აეკიდებიან ხოლმე და მათგან ნივთებს ყიდულობენ თბილისის მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებიც, მათ შორის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ი. ბრელიძე, ა. ბიწაძე, ა. თომბასდი, ი. შენგელია, ა. ალიაქლოვი, შ. გელაშვილი, უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი მ. დარბინიანი და სხვები. სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს გორელმა ნ. კალმახელიძემ და თბილისელმა უ. ჭელიძემ.

რესპუბლიკის ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციას არ აინტერესებს იმ ახალგაზდობის ბედი, რომელიც მიემგზავრება რაიონიდან ან ქალაქიდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, არ აინტერესებს მათი ცხოვრების წესი და ყოფაქცევა, არ არის რაიონების და ქალაქების იმ წარმომადგენელთა სწავლისა და მუშაობის საქმის კურსში, რომლებიც სწავლობენ ან მუშაობენ მოსკოვში. კომკავშირის მთელი რიგი რაიკომები, საქალაქო კომიტეტები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სრულიად საკავშირო ალკკ წევრებისათვის დახასიათებათა მიცემას.

სასოფლო-სამეურნეო არტელებისა და სასოფლო საბჭოების ზოგიერთი თავმჯდომარე იჩენს ლიბერალიზმს ხეხილის ნარგავებისა და ბოსტნების შესახებ ცნობების გაცემის დროს. მაგალითად, სოხუმის რაიონის გუმისთის სასოფლო-საბჭოს თავმჯდომარე ს. აბბა, რომელსაც ჰქონდა საჭელი ასეთი ცნობების უკანონოდ გაცემისათვის, კვლავ ამარაგებს ასეთი ცნობებით სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლების მცხოვრებლებს.

იმის გამო, რომ ახალგაზრდობის ზოგიერთი ნაწილი მოსკოვში ეღირსაღ იქცევა, უსულელოდ და უმიზნოდ ატარებს დროს, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, ლოთობს, ხულიგნობს, ეწევა პარაზიტულ ცხოვრებას, და ზოგჯერ დანაშაულებრივ გზას ადგება, დიდი ბრალი მიუძღვით მათ მშობლებს, აგრეთვე იმ საწარმოთა, დაწესებულებათა, უმაღლეს სასწავლებელთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომლებიც ივიწყებენ პერსონალური პასუხისმგებლობის დანაშაულისათვის, რომელსაც ჩადიან მათი კოლექტივების წევრები.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადავალა საქართველოს ალკკ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს, რაიკომებს, ქალაქკომებს, საოლქო კომიტეტებს მტკიცედ და გადაბრით იბრძოლონ საქართველოს ქალაშვილთა და ჯაბუკთა ზოგიერთ ნაწილში საბჭოთა ახალგაზრდობისათვის შეუფერებელი ზნეჩვეულებების წინააღმდეგ.

კომკავშირის რაიკომებს, საქალაქო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს ევალებათ სისტემატიურად მოაწყონ რეიდები მუქთახორების, ხულიგნების სპეკულანტების, იმ პირთა გამოსამღაბნელად, რომლებსაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გააკვთ ხელი და ბოსტნეული, და შექმნან მათ გარშემო საზოგადოებრივი გაკიცხვის ატმოსფერო. რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოფიქრებული ახსნა-განმარტებითი მუშაობის, ფართო საზოგადოებრიობის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის დახმარებით უნდა მიაღწიონ იმას, რომ ჩვენი ახალგაზრდობის რიგებში არ იყვნენ მუქთახორები, უსაქმურები, ხულიგნები, სპეკულანტები, რომლებიც არცხენენ ჩვენს სახელოვან ქალაშვილებსა და ჯაბუკებს.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა დანაშაულისათვის, რაც სახელს უტეხს კომკავშირელს, სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისათვის სრულიად საკავშირო ალკკ რიგებიდან გაირიცხონ ნ. კალმახელიძე, უ. ჭელიძე, აგრეთვე მ. დარბინიანი. აღძრულია საკითხი ინსტიტუტის დირექციის წინაშე ამ უკანასკნელის უმაღლეს სასწავლებელში დარჩენის თაობაზე. დანარჩენ ეღირსთა საკითხი განიხილება კოლმეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების კრებებზე.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა საქართველოს კომეწინაური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ კომისიაში შეიტანოს თხოვნა, რომ განხილულ იქნას სკკპ წევრების საკითხი, რომლებიც შეჩნეულნი არიან კომუნისტისათვის ეღირს ყოფაქცევაში; ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლობას მოსკოვში უმაღლესი პარტიული სკოლის, ცენტრალური კომკავშირული სკოლის მსმენელთაგან, ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე სტუდენტებისაგან, რომლებიც დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, შექმნას ბრიგადები, რომლებიც სისტემატურად გაუწევენ კონტროლს საქართველოს იმ ახალგაზრდობის საქმიანობას სწავლისა და ყოფაქცევას, რომლებიც ცხოვრობენ ან დროებით იმყოფებიან მოსკოვში.

ბიუროს მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამბ. ფ. დ. დუმბაძემ. ამხ. დუმბაძემ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა გაშალონ ფართო ახსნაგანმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო საბჭოთა ახალგაზრდობისათვის შეუფერებელ ზნეჩვეულებათა გაბოროტებას, უნდა აწარმოოს სერიოზული ბრძოლა მუქთახორების, ხულიგნების, სპეკულანტების, ლოთების წინააღმდეგ. საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციის საკითხი, გონივრულად და მნიშვნელობა მოვაწყოთ მათი დასვენება.

სერიოზული და დიდი ლაპარაკი უნდა გვექნეს საწარმოთა, უმაღლეს სასწავლებელთა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების იმ ხელმძღვანელებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არ ეკიდებიან მთელი სერიოზულობით ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს. მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს იმ მშობლების საკითხი, რომლებსაც პასუხისმგებლობა ეკისრებათ თავიანთი შვილების დანაშაულისათვის. (საქმდესი).

ხალხის სულმნათი

ნაკადულებისათვის, მდინარეებისათვის საოთვეებს — წყლის რეზერვუარების სახით — ქმნიან მთის ჯანღი, წვიმა და თოვლი. მწერლის შემოქმედებაც ასეთია. მასაც თავისი სათავე აქვს, რომელსაც, მსგავსად წვიმისა და თოვლისა, მკვებავს მწერლის უშუალო განცდები, ფიქრები, მისწრაფებები. რამდენადაც მდიდარი და შინაარსიანია ეს განცდები, იმდენად უფრო ემგვანება მწერლის შემოქმედება ლაღ, ადამიანების გასახარად მოვლენილ მდინარეს.

ხალხისათვის უკვდავ ნაწარმოებებს ის მწერლები ქმნიან, რომელთა სულიერი ცხოვრება მხატვრული ნაწარმოებების გარეშეც პოეტურია. აკაკის სულიერ სამყაროში რომ მუდამ თავისთავად პოეტური ფიქრები და განცდები ბინადრობდნენ, ამაზე მისი უკვდავი ლექსები, მოთხრობები და პოემები გვიამბობენ. მაგრამ ამ წერილში მკითხველს მსურს მოვუთხრო დიდი აკაკის იმ პოეტური განცდების შესახებ, რომელთაც ვეცნობით მის „არამხატვრულ" ნაწარმოებებში, სახელდობრ: პატარა მოგონებებში, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში, ეთნოგრაფიულ და სხვა ხასიათის წერილებში, რომელთაც დიდი მწერლის პოეტური ცხოვრების შესასწავლად დოკუმენტური მნიშვნელობა აქვთ.

ცხადია, ამ მასალას ბევრი მკითხველი კარგად იცნობს, მაგრამ მგონია, რომ მათი ერთად აღნუსხვა უფრო მეტი ძალით გაგვნათლებს აკაკის სულიერ სამყაროს, საიდანაც, როგორც შევნიშნეთ, სათავეებს იღებენ და მდინარეებივით მოედინებიან მისი უკვდავი მხატვრული ქმნილებანი.

ბუნებით პოეტად დაბადებულ აკაკის პოეტური განცდები ჯერ კიდევ მაშინ ჰქონია, როდესაც არც ერთი მხატვრული ნაწარმოების ავტორი არ იყო, ესე იგი— ბავშვობაში.

აი როგორ აგვიწერს აკაკი მის მიერ ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ეკლესიაში ღამით წირვის დროს მოსმენილ გალობას.

„ერთ გუნდს იმერლები შეადგენდნენ: ოქროპირ კანდელაკი, გოგინა შათაძე და სინო კანდელაკი, მეორეს — სტუმარი გურულები: დათა გუგუნავა, ყარამან თავდგირიძე და ანტონ დუმბაძე. კანდელაური სადა გალობა იყო და გურული კი კრიმანჭული. ხალხი გაიტაცა მათმა გალობამ, მაგრამ ორ მხარედ კი გაიყო. ერთს გურულები უფრო მოწონდა და მეორეს კი იმერლები"... „მე მაშინ გარჩევა არ შემეძლო და ორივე გუნდს თანასწორად ყურს ვუგდებდი. მანამდე ბევრი კარგი სიმღერა გამეგონა, მაგრამ იმ გალობისთანა არა მსმენიარა! მეგონა თუ ის ხმები მაღლა ციდან ჩამოდიოდენ, რომ დაბლა ქვეყანა დაეტკბოთ".

აკაკიზე ამ სიმღერას იმდენად უმოქმედნია, რომ სახიხარულო განცდათა მოზღვავების გამო ტირილი დაუწყია და მამას ბავშვი ეკლესიიდან გარეთ გაუყვანია, ჰაერზე, სულის მოსაბრუნებლად.

1912 წელს გამოქვეყნებულ პატარა წერილში, რომელსაც „გახსენება" ეწოდება, აკაკი ასეთ ამბავს მოგვითხრობს: „ერთხელ, ახალი გაზაფხულის დილას, მუშტაიდში ამოვყავი თავი. რასაკვირველია, იმ დროს იქ ხორცშესხმული არავინ სჩანდა და მეც ჩემს ნებაზე დავიწყე ბაღში სიარული. მოულოდნელად ერთმა რამემ გამაშტერა: შუაგულ ბაღში, ერთ, უვავილებად გაპენტილ, ატმის ქვეშ თვალი მოვკარ გაბრიელ სუნდუკიანცს: ის ხის ქვეშ მუხლებმოყრილი და ხელებაღლა აპყრობილი იყო, როგორც ქანდაკება. მე შევკრთი. ვიფიქრე: გადარეულა-მეთქი. უკანვე გამოვბრუნდი და წრეში შემოვედი. ნახევარი საათის შემდეგ შემოვიდა ალტაცებული სუნდუკიანციც და მომაყვირა: „აკაკიჯან, აქ რას უზიხარ! წამოდი რა გიჩვენოო" — დამავლო ხელი. და მიმიყვანა იმ ატმის ხესთან: „რატომ არ დაემზობი და თაყვანს არ სცემო"...

ამგვარი აღტაცების გამომხატველი გაბრიელ სუნდუკიანცთან ერთად, ცხადია, აკაკიც არის, ვინაიდან ამ შემთხვევის გამო თვით აკაკი, როგორც ამ მოგონებაში ვამჩნევთ, უსაზღვრო სიხარულსა და აღტაცებას გამოხატავს; ვინ იცის, ამ „გახსენების" წერის დროს რამდენ მნიშვნელოვან, მაგრამ არაპოეტურ ამბავს აუარა აკაკიმ გვერდი, ამ მოგონებას კი მგოსანი თაობებს ისე აწვდის, როგორც ატმის აყვავებულ შტოს. ან რა მომხიბვლელ ადამიანებად გვესახება ბუნების წიაღში საოცნებოდ გასული ორივე შემოქმედი, როდესაც მათ გარშემო, მათ გარდა, სხვა ძეხორციელი არ ჩანს.

ქალია აკაკის შთაგონების ერთ-ერთი წყარო. მსგავსად ყველა ერის კლასიკოსებისა, ჩვენი აკაკიც ქალს მადონასავით ხატავს, ქალი მას მაღალი იდეალებისაკენ მომწოდებელ, ღვთაებრივ ხილამაზის არსებად მყავს წარმოდგენილი. ამაზე, პირველ რიგში, მისი სატრფიალო ლირიკა მეტყველებს, მაგრამ, როგორც აღვნიშნე, აკაკის სულიერი სამყარო მხოლოდ დოკუმენტური მასალების საშუალებით მსურს წარმოვიდგინოთ.

ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას წარმოადგენს აკაკის მიერ წაკითხული მოხსენება იმ დროს სრულიად ახალგაზრდა პოეტის ალექსანდრე აბაშელის საღამოზე. ხსენებული მოხსენებისათვის მგოსანს საფუძვლად დაუდვია ია კარგარეთელის მიერ აღმოჩენილი ერთი ხალხური ლექსი, „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ", აკაკი პარალელს ავლებს ამ ხალხურ ლექსსა და რაფაელის ცნობილ სურათს „სიქტის მადონას" შორის და მათში ერთმანეთის მსგავსებას პოულობს. თანამედროვე მწერალთა შესახებ დაწერილ კრიტიკულ წერილებში ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ ამა თუ იმ ლექსში დახატული ადამიანი ან ბუნება ფუნჯით დახატულ ფერწერულ სურათს მგავსო. ფერწერული სურათისა და ლექსის ისეთი მსგავსება, რომელზედაც აკაკი მოგვითითებს, მე ვგონებ, ჯერ არავის არ შეუნიშნავს. ხსენებულ ხალხურ ლექსში, რომლიდანაც მხოლოდ რამდენიმე სტროფს ამოვწერ, მადონას მსგავსი ქალის ხოროციელი და სულიერი სილამაზე ამგვარად არის დახატული:

ანთებულ სანთელს გამსგავსებ,
ლილით ცისკარზე განახეო;
ხელში გეჭირა ყმაწვილი,
ფარსაგ, გერ დაგინახეო.

შენ ლოყას ვარდი ჰყვაოდა,
გშვენოდა ღია ფერია,
ღაწვს მოციმციმე ხალიკით
ნამი ცით მონაბერია.

შერით დაგფრენდა ნიავი
გირხეკდა დალალ-კაკვებსა;
წარბი-წამწამი ყორნისა
მურავდა გიშრის თვალებსა.

თვალსა, რა თვალსა, ცის მნათსა,
წყვდიადში მოელვარესა,
მოელინებულსა იმ კეკეყნად
ნუგეშად დამამშრალებსა.

ამ ხალხური ლექსის გამო აკაკი ამგვარ დასკვნას აკეთებს: „მსოფლიო განოიხმა მხატვარმა, რაფაელმა, როდესაც მშვენიერების გამოხატვა უნდოდა, უკეთესი ვეღარა მოახერხა-რა და მშვენიერ მადონას მისცა ხელში უმშვენიერესი ყრმა, რომელსაც სიყვარულით ზე დაჰკანკალებს დედა. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შაირის დამწერს არც ეს სურათი უნახავს და არც რაფაელი გაუგონია, მაგრამ ზეგარდმო შთაგონებამ მიიყვანა რაფაელის აღმაფრენამდე!".

ის, რაც შეუქმნია, აკაკის ხიტყვით რომ ვთქვათ, მსოფლიო გენიოსს, ქართველ ხალხს შექმნილი აქვს ფოლკლორში; ამ ლექსში დახატული ახალგაზრდა ქართველი დედაც ისევე ლამაზი და კალდემამოსილია, როგორც რაფაელის მადონა.

რაკი აკაკი ცხოვრებაში ხორციელად და სულიერად ჯანსაღი, მშრომელი, მაღალი იდეალებისაკენ მომწოდებელი ქალის მოტრფიალე იყო, ამიტომ, არის, რომ მის ნათელას, ნინოს, ქეთევანსა და თამარს, მსგავსად რაფაელის მადონასი, სიწმინდის შარავანდედი ადგათ.

ეროვნის, მშრომელი ხალხის სადიდებლად აკაკის მრავალი ლექსი აქვს შექმნილი... ამ ლექსებსაც მკითხველზე ზემოქმედების ძალას თვით აკაკის სულიერი განცდები ანიჭებენ; აკაკის შრომის საგალობლებიც მისი სულიერი ცხოვრების გამოვლენაა.

აკაკი რომ ოფლისმდვრელი ადამიანის უსაზღვროდ პატივისცემელი იყო, ამაზე ეს პატარა მოგონებაც მეტყველებს:

„ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა ქართულ პურებზე და მეც წამეცდა, რომ ყოველგვარ ქართულ პურს თონის ლავაში მარჩენინა-მეთქი. მსმენელთა რიცხვში ერია იობა ისაკაძეც, სულ უბრალო კაცი, თბილისში ხაბაზათ მყოფი. მეორე დღეს მოვიდა ჩემთან ის იობა ისაკაძე და რაღაც გამოხვეული ქაღალდში მოიტანა და მომაჩჩა ხელში ღიმილით, ეს ჩემი ნაწარმოებია და მიტომ გიბედავო!.. რადგანაც ამგვარი შემთხვევა ბევრია ხოლმე, რომ თავისი ნაწარმოები მოაქვთ ჩემთან, მე ისიც ნაწერები მეგონა. ჩამოვართვი და გავიხტუმრე. მოცლის დროს, როცა გავხსენი ქაღალდი, რომ ნაწერები ამომელაგებია, ვნახე, რომ შიგ ათიოდე თონის ლავაში იყო ჩაწყობილი!.. ბევრი ხაჩუქარი მიმიღია ხაზოგადოებისაგან... ბევრჯერ მათ რიცხვში ბევრფასიც. ჩემი თავი იმათ ღირსადაც არ მიმიჩნევია, მაგრამ არც ერთი მათგანი ისე ძვირფასი არ ყოფილა, როგორც იობას პურები".

იმდენად ღრმა და ხაფუძველიანია მშრომელი ადამიანის ხიყვარული აკაკის გულში, რომ ხსენებულ „სულ უბრალო კაცისათვის" აკაკის ლექსიც მიუძღვნია; მკითხველი უთუოდ იცნობს ამ ლექსს, მას „ეპიტაფია იობა ისაკაძისა" ეწოდება.

მგრძნობიარე გულის პატრონი იყო დიდი მწერალი. მისი ნარკვევი „ნადირობა" მოგვითხრობს, რომ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს ნიკოს აკაკი სტუმრად მიუწვევია. შემოუთვლია: „ამ თვის დამლევს ხანდიდოდ მივდივარ და თუ არ წაგიყვანე, არ იქნებაო".

აკაკი დიდი გონებამახვილობით აღწერს თურქულ მოეგბში დათვებზე ნადირობის ამბავს, სადაც მონადირეებს ერთი დღის განმავლობაში ცხრამეტი დათვი მოუკლავთ. ამ ნარკვევით ვგრძნობთ, რომ ნადირობის დღეს, მონადირეთა მრავალრიცხოვან ლაშქარში ყველა მხიარულია, მხოლოდ აკაკი გამხდარა უგუნებოდ, ვაუას მსგავსად, და აი რის გამო:

„...ამასობაში ახლოს მდგარმა შუბოსნებმაც მოასწრეს და გადაელობენ წინ დათვს. დათვმა რომ შეატყო, გახალცეცა ალარსად მაქვსო, გაჯავრებული შეევარდა ხეზე და იქიდან იწყო ჯუჯღური. შემოხვიენ ირგვლივ ხეს მონადირეები და დაუწყეს ხეზე გახულს ჭავრობა: „ვედარ წახვალ!.. ჩამოდი ძირს, შე დედაბერო!", ცოტა ხანს შემდეგ მართლა ჩამოვარდა საბრალო, მაგრამ თვალის დახამხამებამდე ოცზე მეტი შუბი შეერჭო გვამში. შეჭმნა ღრიალი და სულთმობრძავმა ტორები სწორედ ისე დაიჭდო გულზე, როგორც ადამიანს დაუჭდობენ ხოლმე ჭვარედინად. ახლა კი, გაგულადებული მაყურებლებიც ახლოს მიდგენ საყურებლად, სიამოვნებით ყიყინასა სცემდნენ. მხოლოდ მე ვეღარ ავიტანე საცოდავობა და გავდექი განზე მოშორებით".

ამგვარი ფიქრებით შეპყრობილი აკაკი, ცხადია, იმ აგზნებულ მონადირეთა ლაშქარში, ყველასაგან განსხვავებულ ადამიანად წარმოგვიდგება. ერთ და იმავე მოვლენაზე პოეტის რეაგირება ბევრად განსხვავდება ჩვეულებრივ ადამიანთა რეაგირებისაგან.

აკაკის „ბაშო-აჩუკი", „თორნიკე ერისთავი", „პატარა კახი", „ნათელა" იმიტომ არიან ძალზე ემოციურნი, რომ მათ მის საგალობლებიც მისი სულიერი ცხოვრების გამოვლენაა.

ადამიანურ ურთიერთობებსაც ეფერებოდა. ... ...

სახალხო მხატვრის სტუმრები და მასპინძლები



★

სურათებზე: ზეგით — საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს საჩუქარს გადასცემენ თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ფაკულტეტის სტუდენტები. ქვევით — სტუდენტები სტუმრად ლადო გუდიაშვილთან.

★

...**მოვიდნენ,** ნახონ ჩემი და ჩემი კოლეგების სახელოსნოები, გამოგვესაუბრონ, შეკითხვები მოგვცენ, — ხშირად ამბობს საქართველოს სახალხო მხატვარი ლადო გუდიაშვილი.

... იგი თავის ვრცელ დარბაზში დგას. სიყრმისა და გვიანდელ ნამუშევართა შორის, გასცქერის „დაჭრილ ბარათაშვილს", „დევის მაყრიონს", ურიცხვ ბანოვნებს, ყოველი ტილოდან მომხიბვლელად რომ გამოიყურებიან კდემამოსილი ღიმილით.

და აი, ერთ კვირაღღეს კიცხოველის ქუჩაზე ახალგაზრდების ჯარს შენიშავდით. ეს იყო თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტის სტუდენტობა, მეტწილად პირველკურსელები.

ფართოდ გაიღო კარი ახალგაზრდა სტუმართა წინაშეც. ლადო გუდიაშვილი და მისი მეუღლე — ნინო გულთბილად შეხვდნენ მათ, ყველას გაუღიმეს ყურადღება. სტუდენტმა გოგონამ ბობოხიძემ თავის მიერ შესრულებული პორტრეტი მიართვა მხატვარს. მოკრძალებით გადასცა აგრეთვე სხვა ნამუშევრებიც.

დარბაზში ახალგაზრდების მხიარული, თან თავშეკავებული ბაასი ისმოდა. მასპინძელი ეპატიჟებოდა ყველას, სთავაზობდა ხილსა თუ ტკბილეულს.

კიცხოველის ქუჩაზე თუ ლადო გუდიაშვილი მასპინძლობდა, როლები შეიცვალა მცხეთაში, სადაც სტუმარ-მასპინძელნი მანქანებით ჩავიდნენ.

მტკვარს ალმა აპყვნენ მცხეთაში ჩასულნი. რომელი ქორწილი შეედრებოდა არმაზში გამართულ ლხინს...

პიტიახშთა სამარხების იდუმალება კარგახნით დაარღვია მოსულთა მხიარულებამ.

სახალხო მხატვარს სტუდენტებმა უძღვნეს ძვირფასი საჩუქარი ხალებიანი შველი — მხატვრის ნათელი შემოქმედების სიმბოლო.

ნანა წერეთელი.

ხალხური ტალანტების ზეიმი

რუსთავი, (საქ. კორ.). აქ სამ დღეს მიმდინარეობდა მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერება. მასში მონაწილეობა მიიღეს მეტალურგებმა, მშენებლებმა, ქიმიკოსებმა და ქალაქის სხვა წარმოება-დაწესებულებათა თვითმოქმედმა კოლექტივებმა. ეიუერომ ყველაზე მაღალი შეფასება ქიმიკოსების კულტურის სახლთან არსებულ თვითმოქმედ კოლექტივს მისცა.

ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა რაიონული დათვალიერება. გამარჯვებული გამოვიდნენ ჩაის მრეწველობის ზუგდიდის ტექნოლოგიური ტექნიკუმის, ინგირის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატისა და ავტოსატრანსპორტო კანტორის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივები.

ა. ფირცხალავა.

ხელოვნების დღიური

ასრულებენ გოშეგი...

მსახიობი ი. პეტროვა.

• • •

გოშური ხელოვნება დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს საქართველოში. საყოველთაოდ ცნობილია ქართველი საესტრადო მომღერლების თამარ წერეთლისა და ქეთი ჯაფარიძის დამსახურება გოშური ე. წ. „ტაბორული" სიმღერებისა და ძველებური გოშურ-რუსული ქალაქური რომანსების პოპულარიზაციაში.

ძველ ქართველ კინომოყვარულებს ალბათ კარგად ახსოვთ ნატო ვაჩნაძის მიერ მომხიბლავი გოშა ქალის სახის შექმნა გერმანულ-რუსულ კინოფილმ „ცოცხალ ლეშში" (ლევ ტოლსტოის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მოტივებზე).

ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ თბილისელებმა ინტერესი გამოიჩინეს მოსკოვის გოშათა თეატრ „რომენის" გასტროლებისადმი და ახლა ასევე ყურადღებას იჩენენ გასტროლებზე ჩამოსული გოშური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისადმი (სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ კორკოვი), რომელიც თბილისს გარდა კონცერტებს მართავს რუსთავში და საქართველოს სხვა რაიონულ ცენტრებში.

საკონცერტო რეპერტუარის სწორად შერჩევა, ანერობრივი მრავალფეროვნება და ანსამბლის მონაწილეთა მრავალმხრივი ნიჭი — აი რა არის ანსამბლის გასტროლების წარმატების მთავარი მიზეზი. ამ მხატვრული კოლექტივის თითქმის ყოველი წევრი ერთსა და იმავე დროს არის მომღერალი, მოცეკვავე, ინსტრუმენტალისტი (უმთავრესად გიტარისტი) და დრამატული მსახიობიც, რომლებიც წარმატებით ასრულებენ რუსი, მოლდაველი, უნგრელი და რუმინელი ბოშების სოლო და ანსამბლურ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, რომანსებსა და პატარ-პატარა თეატრალიზებულ სცენებს.

იტალიური სიმღერების საღამოები

ამ რამდენიმე ხნის წინათ თბილისელები დაატყო ცნობილი იტალიელი საესტრადო მომღერლის კლაუდიო ვილას სიმღერებმა. ამჯერად კი თბილისში გასტროლებზე ჩამოვიდა მეორე იტალიელი მომღერალი გუალტიერო მიზიანო. გუალტიერო მიზიანო ბოლოდროინდელ პოლიტიკური ემიგრანტის შვილმა, [illegible] საბჭოთა კავშირში, [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...